სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/340

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2018

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №2627 დადგენილების ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის № 01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 2627 დადგენილების „სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს საგნების ერთიან ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, აგრეთვე, ბაზის მუდმივი აქტუალური მდგომარეობა ფაკულტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად.“

2. შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 2627 დადგენილებით „სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „9. სასწავლო კურსს კოდს ანიჭებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით“.

„10. სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მისაღებად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით (მისამართი quality@gtu.ge), უნდა წარადგინოს ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება სასწავლო კურსის დასახელება, განათლების რომელ სფეროსა და ქვესფეროს ეკუთვნის ეს საგანი, აგრეთვე სწავლების ენა და კრედიტების რაოდენობა, საგნის მოკლე აღწერა, დაშვების წინაპირობა და განათლების საფეხური. სასწავლო კურსის დასახელება, საგნის მოკლე აღწერა და დაშვების წინაპირობა წარმოდგენილი უნდა იყოს სწავლების ენაზე"

3. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე